

## მედიცინის ისტორია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მიხეილ თვაურს კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებრიობა. ის წლების მანძილზე სათავეში ედგა ბორჯომის რაიონის სამკურნალო ქსელს, იკვლევდა ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებს, მისი აღმოჩენის ისტორიას. ამ საკითხს მან მრავალი გამოკვლევა და სამედიცინო ნაშრომი მიუძღვნა.

სადღეისოდ ბატონი მიხეილი კვლავ დაინტერესებულია ეროვნული მედიცინის ისტორიის იმ პერიოდით, რომელიც ეძღვნება ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში მინერალური წყლების აღმოჩენის ჯერ კიდევ მეცნიერულად უცნობ ისტორიას, მათ სამკურნალო თვისებებს.

ამჯერად გთავაზობთ ნაწყვეტს მის მიერ შესრულებული შრომიდან.

## ბორჯომის მინერალური წყლების საბადოების აღმოჩენის შესახებ

### მ. თვაური

ბორჯომის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა. ცაში ატყორცნილი მთებით, საუკუნოვანი ტყეებით, მჩქეფარე მდინარეებითა და ჩანჩქერებით, დაკლაკნილი შესანიშნავი პირობებით, ამფითეატრის მსგავსად განლაგებული სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლების საბადოებით, რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

შემთხვევითი არ არის, რომ თამარ მეფემ მტკვრის ხეობას, „თავისი სამეფოს გვირგვინის მარგალიტი“ უწოდა. ასეთი მაღალი შეფასება მტკვრის ხეობის დიდ ღირებულებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს და დღესაც ძალაში რჩება, ბორჯომის უნიკალური, მინერალური წყლების მსოფლიო აღიარების გამო.

2007 წლის 10 სექტემბერს 100 წელი შეუსრულდა ქ. სპასში (ბელგია) გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, ბოთლიანი ბორჯომის მინერალური წყლის გრანპრიზის და მედლით დაჯილდოებიდან, რომელსაც შემდეგ წლებში მოჰყვა მისი დაჯილდოება 10 ოქროს მედლით, ერთი „პლატონის ვარსკვლავით“ და 5 - საპატიო დიპლომით.

ბორჯომის მინერალური წყლის მწარმოებელი - „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია ISO 2200000 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის უსაფრთხოების სერტიფიკატი მიენიჭა. იგი იძლევა პროდუქციის კონტროლის საშუალებას მისი არსებობის მთელი ციკლის განმავლობაში, მოპოვებით დაწყებული და სავაჭრო ქსელში გაერცვლებით. „საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანია“ ერთადერთია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც მიენიჭა მსოფლიო ხარისხის სტანდარტის სერტიფიკატი, ეს დიდი გამარჯვება ერთხელ კიდევ ადასტურებს ბორჯომის მინერალური წყლის უნიკალურობას.

ვფიქრობთ საინტერესო იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესახებ. ცნობილია ის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც XVIII–XIX საუკუნეებში არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც ხშირად საომარი მოქმედებების მიზეზი იყო.

რუსეთის იმპერია ცდილობდა დაეპყრო სამხრეთ საზღვართან განლაგებული ახალციხის საფაშო. ჯერ კიდევ 1769 წელს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ საქართველოში მოავლინა ჯარის ნაწილები გრაფ ტოტლებენის მეთაურობით, რომელსაც თავისი ჯარით შეუერთდა მეფე ერეკლე მეორე. 1770 წელს მათ ერთობლივად შეუტყეს აწყურის ციხე-სიმაგრეს, მაგრამ უშედეგოდ. სამხედრო ტაქტიკის საკითხებში შეუთანხმებლობის გამო ტოტლებენმა, თავისი ჯარის ნაწილები უკან დააბრუნა იმერეთში, ბრძოლის ველზე მიატოვა მეფე ერეკლე მეორე, რის გამოც ერეკლე მეორეს მოუხდა უთანასწორო ბრძოლის გამართვა მტრის ჭარბ ძალებთან, მიუხედავად ამისა, დაამარცხა ისინი და გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში.

მეორე ცდა ახალციხის დასალაშქრად 1808 წელს მოაწყო ამიერკავკასიის მთავარმმართველმა გრაფმა ი.ც. გუდოვიჩმა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა, საომარი ოპერაციის არასწორი დაგეგმვისა და არმიაში ჯარისკაცთა უდისციპლინობის გამო.

ახალციხეზე მესამე გალაშქრება განახორციელა ამიერკავკასიის მთავარმმართველმა გენერალმა ა. ტორმასოვმა, 1810 წლის 16 ნოემბერს, მდინარე მტკვრის ხეობის გავლით, მან მოახდინა ახალციხის ათდღიანი ბლოკადა. რუსეთის ჯარს შეუერთდა ქართული ლაშქარი გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანის მეთაურობით, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ კონსტანტინე ბაგრატიონისა და ვახტანგ ორბელიანის დანაყოფები.

ამ პერიოდში ახალციხეში მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც დაადგინა პოლკის მთავარმა ექიმმა ივანე პრიბილმა. შავი ჭირის ინფექციით დაიდუბა ქართულ ლაშქარში 6 მეზრდოლი და 5 ჯარისკაცი რუსეთის არმიაში. აღნიშნულის გამო, გენერალმა ა. ტორმასოვმა 26 ნოემბერს მოახდინა ახალციხის დებლოკირება და ჯარის ნაწილები უკან დააბრუნა, იმავე გზით, გაუკაცრიელებული მტკვრის ხეობით. 1810 წლის 4 დეკემბერს გენერალი ა.ტორმასოვის ჯარის ნაწილები დაბინავდნენ მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეზე, პეტრეს ციხის პირდაპირ. გენერალი ა. ტორმასოვის უკან დახეული ჯარის ძირითად ნაწილებს, მტრის ჯარის შესაძლო დევნისაგან იცავდა გენერალ პარტიაციის არიერგარდი, რომლებიც მათ შეუერთდნენ 5 დეკემბერს. ტერიტორიის სიმცირის გამო, გენერალმა ტორმასოვმა ჯარის ნაწილები გადმოანაცვლა იმავე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი სანატორიუმი „ფირუზის“ ტერიტორიაზე, სადაც მათ დაჰყვეს ერთი დღე-ღამე. სწორედ აქ მოხდა გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანის მეომრებისა და გენერალ ა. ტორმასოვის ჯარისკაცების გაცნობა ბუნების უცნაურ მოვლენასთან - მინერალური წყლის დროგამოშვებით ხმაურიან ამოფრქვევებთან. ჩვენდა საბედნიეროდ, პოლკის მთავარმა ექიმმა ივანე პრიბილმა, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა კურორტოლოგიის ციკლი პრალის უნივერსიტეტში და კარგად იცნობდა კურორტ კარსლბადის გეიზერების მოქმედებას, მან ორგანოლექტიკური თვისებების შესწავლით (წყლის ტემპერატურა, სუნი, გემო, გამჭვირვალობა, ფრაქციები, ნალექების არსებობა) დადებითი შეფასება მისცა აღმოჩენილ მინერალური წყლის საბადოს.

სამსახურებრივი მოვალეობის გადატვირთვის გამო, მან ყურადღება ვერ დაუთმო 1810 წელს მტკვრის ხეობაში აღმოჩენილი მინერალური წყლის საბადოებს, რომლის ანალიზი განახორციელა მხოლოდ 1836 წელს თბილისის ჰოსპიტლის პროვიზორმა ხ. ვილლემსმა. მან ასევე, პარალელურად, შეისწავლა ციხისჯვრის, ახალციხის, აბასთუმნის, ურაველას მინერალური წყლები და ახტალის ტალახი სოფელ გურჯაანში. მისი უშუალო რეკომენდაციით, ამიერკავკასიის მთავარმართებელმა გენერალმა ე. გოლოვინმა თავისი ავადყოფილი ქალიშვილი - ეკატერინე 1841 წლის ზაფხულში ბორჯომში ჩამოიყვანა, სადაც იგი გამოჯანმრთელდა. მთავარმართებელმა მინერალური წყლის საბადოს შეარქვა ეკატერინეს სახელი, ხოლო მინერალური წყლის მეორე საბადოს თავისი სახელი - ევგენი. სწორედ ამ ფაქტიდან იწყება

ყურადღების მიქცევა ბორჯომის მინერალური წყლის საბადოებზე, რომელსაც ბორჯომის მინერალური წყლების საბადოების დაფუძნების პერიოდი ეწოდება.

1842 წელს ექიმებმა ს. ამიროვმა და ო.ო. პოპეიკომ თბილისის ჰოსპიტლის მთავარი ექიმის ი. პრიბილის ხელმოწერით გაუგზავნეს წერილი კავკასიის მთავარმათებელს ე. გოლოვინს, რომ ბორჯომის მინერალური წყლის საბადოების პარკისათვის მიენიჭებინათ კურორტის სახელი, რაც დადებითად გადაწყდა.

ი. პრიბილი იყო დიდი კლინიცისტი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ბორჯომის, როგორც კურორტის, ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დიდი თაყვანისმცემელი, საქართველოს კურორტოლოგიის მეცნიერების დიდი მედროშე, გრიბოედოვის მკურნალი ექიმი, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, რომელმაც 1847 წლის 17 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში მოიწვია რუსეთის გამოჩენილი ქირურგი პიროგოვი, რომელმაც 15 რთული ოპერაცია გააკეთა, თანაც პირველად ეთერის ნარკოზით.

1852 წელს გამოქვეყნდა გორში დისლოცირებულ ქართულ ჰუსართა პოლკის მთავარი ექიმის სოლომონ ამიროვის სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომი სათაურით - „ჩანაწერები ბორჯომის მინერალურ წყლებზე“, რომელშიც გაანალიზებულია ავტორის 13 წლის დაკვირვების შედეგები (502 ავადმყოფი), რომელთაგანაც გამოჯანმრთელდა 272 ავადმყოფი, მდგომარეობა გაუმჯობესდა 163 ავადმყოფს. უცვლელი დარჩა 65 ავადმყოფის მდგომარეობა, გარდაიცვალა 2 ავადმყოფი (ფილტვის ტუბერკულოზით). ამგვარად, მკურნალობის დადებითი შედეგები აღენიშნა 85%-ს. ექმი ს. ამიროვის სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომი იყო პირველი ბორჯომის მინერალური წყლით მკურნალობის საკითხებში, რომელმაც დასაბამი მისცა ბორჯომის მინერალური წყლების მკურნალობის დეტალურ შესწავლას რუსეთის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში.

ს. ამიროვის ნაშრომში მოთავსებულია რუსეთის იმპერიის მეფისნაცვალის ს. ვორონცოვის მკურნალი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ეანდრეევსკის 10 შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ, „ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როდის იქნა აღმოჩენილი ბორჯომის მინერალური წყლები. გასაკვირია მხოლოდ ის, რომ მხარეში, სადაც უხვად გვხვდება სხვადასხვა სახის უძველესი ნაგებობანი, წყაროსთან ახლოს არ აღმოჩნდა არც ერთი კენჭი, რომელიც მიგვანიშნებდა ამ ადგილებში რაიმე სახის მოწყობილობას“.... (ს. ამიროვი, „ბორჯომის მინერალურ წყლებზე“, გვ. 64).

აღნიშნული დასკვნა ბორჯომზე არსებულ ლიტერატურაში შეცდომით მიკუთვნებული აქვს სტატიის ავტორს ს. ამიროვს, რაც შესწორებას საჭიროებს.

ისტორიკოსები: მ. ტომკევი, ს. მაკალათია, ვ. აბულაძე და სხვები მიიჩნევენ, რომ ახალციხის ლივაში, სოფელ ანდრიაწმინდასთან დასახლებული ყოფილა 5-კომლიანი სოფელი „ბორჯომი“-ს სახელწოდებით, რომელიც გამაჰმადიანების თავიდან ასაცილებლად აყრილა და გადმოსახლებულა სოფელ ტაშისკართან, საყარაულო კოშკის სიახლოვეს (1745-1772 წლები). მათ ძველი მამა-პაპური სახელი „ბორჯომი“ შეუნარჩუნებიათ ახალი დასახლებისათვის.

ტაშისკარში მდგარ ქართული მილიციის ნაწილებს, თავისი ინიციატივით კოშკისთვის მიუნიჭებიათ „ბორჯომი“-ს სახელი. ამგვარად სურამში რუსული ჯარის ეგერთა პოლკის ორი ასეულის დისლოცირებამდე (1808 წ.) ტაშისკარის საყარაულო კოშკს უკვე ეწოდებოდა ბორჯომის სახელი. ლიტერატურულად გამოთქმის გამარტივების თვალსაზრისით რუსის ჯარისკაცებს საყარაულო კოშკისათვის მიუნიჭებიათ „ბორჯომის“ ბლოკჰაუზის (საველე სიმაგრის) სახელი, „მტკვრის“ ხეობისათვის ბორჯომის ხეობის სახელი და მინერალური წყლების საბადოებისათვის ასევე ბორჯომის სახელი.

სიტყვა „ბორჯომს“ სხვადასხვა ავტორები არაერთგვაროვან განმარტებებს აძლევენ, რაც დაზუსტებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1. ბორჯომის მინერალური წყლის საბადოების „მეორედ“ აღმოჩენა მიეკუთვნება გენერალ მაიორ თამაზ ორბელიანის ქართული ლაშქრის მეომრებსა და გენერალ ა. ტორმასოვის ჯარისკაცებს 1810 წლის 5 დეკემბერს.

2. ბორჯომის მინერალური წყლების საბადოების პირველი ანალიზი შესრულებულია 1836 წელს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის პროვიზორის ხ.ვილემსის მიერ, ჰოსპიტალის მთავარი ექიმის ი. პრიბილის დავალებით.

3. ბორჯომის მინერალური წყლების საბადოს სამკურნალო თვისებების პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქ. გორში დისლოცირებულმა ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცებმა.

4. 1845-1872 წლებში ახალციხის სოფელ ანდრიაწმინდასთან არსებული 5-კომლიანი სოფელი „ბორჯომის“ სახელწოდებით, გამაჰმადიანების თავიდან ასაცილებლად, გადმოსახლებულა სოფ. ტაშისკართან, შეუნარჩუნებიათ სოფლის მამაპაპური სახელი „ბორჯომი“, რომელიც მიაკუთვნეს ტაშისკარის საყარაულო კოშკს, მტკვრის ხეობას და თვით ბორჯომის მინერალური წყლის საბადოებს.

მკითხველს ვთავაზობთ ბორჯომის მინერალური წყლის მიერ მოპოვებული ჯილდოების ნუსხას, რომელიც სხვადასხვა წლებში მოიპოვა საერთაშორისო გამოფენებზე.

**რუსეთის იმპერიის პერიოდში:**

1. 1907 წ. ქ. სპა (ბელგია) - მიენიჭა საპატიო დიპლომი (დიდი პრიზი);
2. 1909 წ. ქ. ყაზანი - მიენიჭა ოქროს დიდი მედალი;
3. 1911 წ. ქ. დრეზდენი (გერმანია) - მიენიჭა საპატიო დიპლომი

**საბჭოთა პერიოდში:**

1. 1940 წ. ქ. ტალინი - მიენიჭა ოქროს მედალი.
2. 1960 წ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე მიენიჭა საპატიო მედალი.

**საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში:**

**ა. საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია**

1. 1996 წ. სანკტ-პეტერბურგი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
2. 1997 წ. ქ. მოსკოვი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
3. 1997 წ. ქ. სანკტ-პეტერბურგი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
4. 1998 წ. ქ. ნოვოსიბირსკი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
5. 1998 წ. ქ. სანკტ-პეტერბურგი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

**ბ. ბორჯომის შ.პ.ს. „ბივის“ - მიერ მოპოვებული ჯილდოები:**

1. 1996 წ. დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით;
2. 1997 წ. ქ. მოსკოვის გამოფენა - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
3. 1997 წ. ქ. ალმა-ატას გამოფენა - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
4. 1998 წ. ქ. სანკტ-პეტერბურგის კონკურსი - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
5. 1998 წ. ქ. სოჭის გამოფენა - დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით და ბაზრობის დიპლომით;
6. 1998 წ. ქ. მოსკოვის გამოფენა - დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
7. 1998 წ. საერთაშორისო კონკურსში „ციმბირი-98“ მოიპოვა დიპლომი და ოქროს მცირე მედალი;
8. 1999 წ. ესპანეთის გამოფენა - დაჯილდოვდა „პლატინის ვარსკვლავის“ მედლით.

М. Тваури

Согласно данным литературы, Боржомские минеральные источники обнаружены «вторично» солдатами Горского Херсонского полка, дислоцированного в г. Гори в 1816 году, под командованием полковника А. Попова.

При тщательном изучении вопроса выяснено, что Боржомские источники минеральных вод обнаружены раньше - 5 декабря 1810 года, бойцами генерал-майора Тамаза Орбелиани и генерала А. Торماسова, находящихся в походе при взятии Ахалцихе, После 10-дневной блокады Ахалцихе, по причине эпидемии в регионе чумы, генерал А. Тормасов вынужденно оставил Ахалцихе и совместно с присоединившимся к его войскам бойцами генерал-майора Тамаза Орбелиани, 4 декабря 1810 года вернулся и разместился на правом берегу Куры на территории где в настоящее время расположен санаторий «Фирюза». 5 декабря 1810 года бойца оказались свидетелями странного природного явления - периодически бурлящего источника минеральные вод сопровождающегося шумом. Главный врач полка И. Прибыль, который изучал цикл курортологии в Пражском университете, хорошо знал гейзеровскую природу Карлсбадских минеральных источников и провел изучение органолептические свойства воды (запах, вкус, прозрачность, температуру, наличие осадка, фракции) и дал положительную оценку обнаруженной минеральной воде. Будучи очень занятым человеком, И.Прибыль лишь в 1836 году направил своего провизора Х. Виллямса, для проведения первого углубленного лабораторного анализа Боржомских минеральных вод. Параллельно исследовались Абастуманские, Ахалцихские, Цихиджварские источники, лечебные грязи в с. Гурдхаани.

По рекомендации И. Прибыля, летом 1841 года, на лечение в Боржоме приехала дочь генерала Е.Головина, Екатерина, и вылечилась. Её именем назван первый источник минеральных вод, а второй - именем самого генерала Е. Головина - Евгеньевский.

По ходатайству врачей С. Амирова, О. Попейко, главного врача Тбилисского военного госпиталя И. Прибыль, в 1842 году порку Боржомских минеральных вод был присвоен статус курорта. Эта дата и считается датой основания курорта Боржоме.

Таким образом, Боржомские минеральные источники впервые были обнаружены 5 декабря 1810 года бойцами генерал-майора Т. Орбелиану и и солдатами генерала А. Иормасова, а бальнеоклиматические ресурсы Восточной Грузии изучены детально и использованы с лечебной целью главным врачом Тбилисского военного госпиталя И. Прибылем, который занимался также и подготовкой кадров по курортологии.

## **For the issue of discovering the Mines of Mineral Waters of Borjomi**

**M. Tvauri**

Today in the Literatures about the resort “Borjomi” is written that it was second time discovered in city Gori in 1816 year by the dislocated horsemen regiment solders, they were guided by the colonel P.Popov.

In 1810 the Black Deathe Epidemic became furious in Akhaltsikhe, which was founded by the chief Doctor of regiment Ivane Pibil. Ivane Pibili was born in 1781, Bohemia (Czechoslovakia) and grew up in Prague. He finished University of Prague? faculty of medicine and specialized in city Vienna. Russian armies suffered from the lack of Medical staff. Consul of Russia offered Pibil in Prague to serve in Military forces, he agreed. He had mission in Medico-Surgery Academy of Saint-Petersburg, where he passed the exams with honor and was appointed as the regiment’s chief Doctor in Saratov. In 1799 year the above mentioned regiment came to Tbilisi with two guns, with the guidance of General Lazarev of Tbilisi met the Russian forces warmly. Pibil continued working in the Military Forces. He took an active part in the Russian0Turkey War and after returning from city Khersoni in 1822 year he was appointed as the chief Doctor of Tbilisi Military Hospital which he managed for 27 years. He planned the Project of Building the Military Hospital in Navtlugi.

As he was very busy couldn’t pay an important attention to the discovered Mineral Waters in Mtkvari Valley in 1810. The analysis of it was carried out only in 1836 year by the pharmacist of Hospital of Tbilisi Kh. Villems. He also studied the Mineral waters of Tsikhisjvari, Akhaltsikhe, Abastumani and Akhala dirt in Gurjaani. With his direct recommendation in 1841 General Golovin took his ill daughter Ekaterine to Borjomi, where she was cured. He called the Mineral water after Ekatreines’s name, and the second mine of Mineral Water he called his name - Evgeni. Exactly this fact caused the drawing of attention to the Mineral Waters, it is related to the period of establishment of Mines of Mineral Waters.

In 1842 Doctors S. Amirov and O.O. Popeiko with the signature of Chief Doctor of Hospital in Tbilisi sent the letter to the main leader of Caucasus E. Golovin and asked to grant the title of resort to the Borjomi Mineral Water Park, which was decided positively.

So the official date of establishment of Borjomi resort is 1842 year. Pibil played an important role for liquidation of Black Death and Cholera in Caucasus. From 1851 I.Pibil was sending the patients of Tbilisi Hospital together with the Doctors to Borjomi in summer and he discussed the results on the conferences of Hospital Doctors. I. Pibil was one of the initiator of establishing the Medical Society (Georgian Little Medical Academy) and an active member till

his death, which promoted the Scientific Practical Activity and carried out Sanitary Hygiene Principals in the Society.

I. Pribil was a great Clinician, awarded with organize skill, Founder of Borjomi, as resort and its big admired. In 1847 he invited Russian Famous Surgeon Pirogov to Tbilisi Military Hospital, who made 15 complex operations and using the Ether narcosis for the first time.

In 1852 in Gori “records about the Borjomi Mineral Water” was published in which results of researches (502 Patients) were analyzed. So the positive results were noticed in 85% of Patients.

The different authors gave the different definitions to the word Borjomi, which needs the specification.

According to the above mentioned we can conclude that

1. Discovery of Borjomi’s Mineral Waters belongs to the General-Mayor Tamaz Orbelian’s Georgian Fighters and soldiers of general Tormasov on 5<sup>th</sup> of December in 1810.

2. Borjomi’s Mineral waters first analysis was fulfilled in 1836 by the pharmacist of Tbilisi Military Hospital Kh. D. Villemes, on the instruction of Chief Doctor of the Hospital I. Pribil.

3. Solders of Kherson Grenadiers, Dislocated in city Gori, took an important role in popularization of curing features of Borjomi’s Mineral Waters.

4. In Akhaltsikhe 1845-1872 near the village Andriatsminda there were 5 household villages “Borjomi”. For avoiding Mohammedanism they settled near the village Tashiskari. They maintained their ancient name Borjomi, which belonged to the Tashiskari Guard Tower, Mtkvari valley, and to the Borjomi’s Mineral Waters.

#### ლიტერატურა:

1. ტომკეევი ვ.ი. - ბორჯომის აღწერილობის ისტორიული მასალები და ბორჯომის მინერალური წყლები. 1828-1872 წწ. გამოცემა 1899 წ., გვ. 26-155.
2. ამიროვი ს.ა. - ჩანაწერები ბორჯომის მინერალურ წყლებზე, 1852 წ.
3. ლაზარიდი- ციციშვილი ა.კ. - ბორჯომი, 1955 წ., 32 გვ.
4. მაკალათია ს.ი. - ბორჯომის ხეობა, 1958 წ., 75 გვ.
5. აბულაძე ვ. ბ. - ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, 1983 წ., 188 გვ.
6. თვაური მ.პ. - კურორტო ბორჯომი და მისი უნიკალური გულები, I-II ტომი, 2002-2006 წ.
7. ორბელიანი ვახტანგი - ქართული ლაშქარი. ქართული ეციკლ., ტ. 7, გვ. 554.

8. ბაგრატიონი კონსტანტინე - ქართული ლაშქარი, საქ. ენციკლ. ტ. 10, გვ. 481.

9. ტორმასოვი ა.პ. - გენერალი, რუსული ენციკლ. ქ. მოსკოვი, 1973 წ., ტომი 14, გვ. 354.

### **Литература:**

1. Томкеев В.И. - Материалы для исторического описания Боржоми и Боржомских минеральных вод. 1828-1872 г., изд. 1899 г. на 271 С.

2. Амиров С.А. Записки о Боржомских минеральных водах. 1852 г., С. 34-55.

3. Лазариди- Цицишвили А.К. - Боржоми, 1955 г, 83 стр.

4. Макалатия С.И. Борджомское ущелье. 1958 г. 75 стр.

5. Абуладзе В.К. Прошлое и настоящее Боржомского ущелье. 1989. 188 с.

6. Тваური М.П. - Курорт Боржоми и его уникальные минеральные воды. I-II том. 2002-2006 г.г.

7. Орбелиани Вахтанგი - Груз. войска. Груз.эტიკლ. том 7. 557 стр.

8. Баგრატიონი კონსტანტინე - Груз. войска. Том. 10, стр. 431.

9. Тормасов А. П. - Историческая энциклопедия, 1973 г. том 14. стр. 345.